საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა

I. გამოყენების სფერო

სტანდარტული ოპერაციული პროცედურა აღწერს სურსათის უვნებლობის სფეროში საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების პროცესს.

II. მიზანი

სტანდარტული ოპერაციული პროცედურის მიზანია საზოგადოების ინფორმირების პროცესის და ეტაპების ერთიანი სტანდარტის დანერგვა.

III. პასუხისმგებლობა

1. უფლებამოსილი პირები 1.2 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით აწვდიან სურსათის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში - დეპარტამენტი) ხელმძღვანელს.
2. დეპარტამენტის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირების პროცესის დაწყების ინიცირებას.
3. სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილების შემთხვევაში, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, ხდება საზოგადოების ინფორმირება სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით.
4. სპეციალისტთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დამუშავება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის მიწოდება.
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სააგენტოს უფროსს წარუდგენს წინადადებებს საზოგადოების ინფორმირების ფორმის და საშუალებების შესახებ.
6. გადაწყვეტილებას საზოგადოების ინფორმირების თაობაზე იღებს სააგენტოს უფროსი.
7. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის შესაბამისი ფორმით და საშუალებით გასაჯაროება.

8. ამ სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა განახორციელონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების გათვალისწინებით.

IV. პროცედურა

1. საზოგადოების ინფორმირების პროცედურა

1.1. შესაბამისი უფლებამოსილი პირები 1.2 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით აწვდიან დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დეპარტამენტის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს საზოგადოების დაუყოვნებლივი ინფორმირების პროცესის დაწყების ინიცირებას და ახორციელებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას მის მიერ შერჩეულ დეპარტამენტის სპეციალისტთა ჯგუფისთვის.

1.2. საზოგადოების ინფორმირების პროცედურა იწყება შემდეგი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში:

ა) ლაბორატორიული გამოკვლევით აღმოჩენილია:

ა.ა) „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №581 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის №1 დანართით განსაზღვრული სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის შეუსაბამობა;

ა.ბ) სურსათის ქიმიური დაბინძურება;

ა.გ) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი“-თა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილებით დამტკიცებული „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი“-თ განსაზღვრული შემდეგი მაჩვენებლების შეუსაბამობა:

ა.გ.ა) პათოგენური მიკროორგანიზმების, მათ შორის, Salmonella და შიგელას აღმოჩენა;

ა.გ.ბ) დაფასოებულ სასმელ, ნატურალურ მინერალურ ან წყაროს წყალში

Pseudomonas aeruginosa აღმოჩენა;

ა.გ.გ) პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების (ლამბლიების ცისტები, დიზენტერული ამებას ცისტები) აღმოჩენა;

ა.გ.დ) დარიშხანის (As, ჯამური), კადმიუმის (Cd, ჯამური), ტყვიის (Pb, ჯამური), ვერცხლისწყლის (Hg, არაორგანული), ქრომის (Cr6+), ციანიდების (CN-), სტიბიუმის (Sb) და პესტიციდების საერთო შემცველობის მაჩვენებლების შეუსაბამობა;

ა.გ.ე) რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებლების დარღვევა;

ა.დ) ხორცის და ხორცის პროდუქტების სახეობრივი დარღვევა;

ა.ე) სურსათში ტრანსცხიმების მაჩვენებლის შეუსაბამობა;

ა.ვ) რძეში ან რძის ნაწარმში აღმოჩენილია მცენარეული ცხიმი;

ბ) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან და მუნიციპალიტეტთან არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრიდან შემოსული, შეტყობინებას დაქვემდებარებული, სურსათით, მათ შორის, სასმელი წყლით გამოწვეული დაავადებათა შემთხვევები;

გ) ევროკავშირის სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემით (RASFF) მიღებულია საგანგაშო შეტყობინება (Alert notification) – შეტყობინება საფრთხის შესახებ, რომელიც საჭიროებს ან შეიძლება საჭიროებდეს სწრაფ რეაგირებას ქსელის სხვა წევრის მიერ.

1.3. სპეციალისტთა ჯგუფმა უნდა მოიძიოს და საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტებისგან ან სხვა უწყებებისგან უნდა გამოითხოვოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგები (სახელმწიფო კონტროლის შესაბამისობის შეფასების აქტები, ვიდეო და ფოტო მასალა);

ბ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები;

გ) მოწყვლადი მოსახლეობის შესახებ მონაცემები, რომელიც ძირითადად მოიხმარს კონკრეტულ სურსათს (ჩვილი ბავშვები, ბავშვები, ასაკოვანი მოსახლეობა, ორსული ქალები, სუსტი ჯანმრთელობის მქონე პირები);

დ) სურსათის შესახებ მონაცემები (რაოდენობა, მდგომარეობა (ნედლეული, დამუშავებული, მზა), წარმოება/გადამუშავება/დისტრიბუციის ეტაპი (არ არის

განთავსებული ბაზარზე ან უკვე აღარ არის განთავსებული ბაზარზე და სხვ.);

ე) შეტყობინებები, მათ შორის, მომხმარებელთა შეტყობინებები;

ვ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ამოღება/გამოთხოვა/აღკვეთის შესახებ მონაცემები;

ზ) კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

1.4. სპეციალისტთა ჯგუფი ახდენს შემთხვევების კატეგორიზაციას რისკის ხასიათის, მასშტაბისა და სერიოზულობის გათვალისწინებით:

ა) **I კატეგორია** - შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გავრცელებით შესაძლოა რისკის თავიდან აცილება ან შემცირება;

ბ) **II კატეგორია** - შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გავრცელებით რისკის თავიდან აცილების ან შემცირების ალბათობა მცირეა ან შესაძლებელია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის აღკვეთა ან/და თავიდან აცილება;

გ) **III კატეგორია** - შემთხვევა, რომელიც არ შედის I და II კატეგორიაში.

1.5. ინფორმაციის კატეგორიზაციის დასრულებისთანავე სპეციალისტთა ჯგუფი დამუშავებულ ინფორმაციას უგზავნის დეპარტამენტის ხელმძღვანელს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

1.6. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:

1.6.1. შეარჩევს მიღებული ინფორმაციის საზოგადოების ინფორმირების ფორმასა და საშუალებებს, რომელსაც შეთანხმების მიზნით განიხილავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილ რისკის კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფთან;

1.6.2. რისკის კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფიდან მიღებული დოკუმენტურად დადასტურებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეთანხმებულ ფორმას წარუდგენს სააგენტოს უფროსს;

1.6.3. სააგენტოს უფროსის თანხმობის საფუძველზე, ხდება ინფორმაციის მომზადება საზოგადოების ინფორმირების მიზნით

1.7. საზოგადოების ინფორმირების საშუალებებია:

1.7.1. **პირველი კატეგორიის შემთხვევაში,** ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება დაუყონებლივ, ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს **2 დღის ვადაში**, პრეს-რელიზის/განცხადების გავრცელებით მედია-საშუალებებში, სოციალურ მედიასა და სააგენტოს ვებ-გვერდზე. საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებას ინფორმაცია

მიეწოდება პრეს-კონფერენციით.

1.7.2. **მეორე კატეგორიის შემთხვევაში,** ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება პრეს-რელიზის/განცხადების გავრცელებით მედია-საშუალებებში, სოციალური მედიასა და სააგენტოს ვებ-გვერდზე, ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს **7 დღის ვადაში**.

1.7.3. **მესამე კატეგორიის შემთხვევაში,** ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება პროაქტიული გამოქვეყნების გზით.

1.8. საზოგადოებას ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შემდეგი ფორმით:

ა) სათაური;

ბ) ფაქტობრივი გარემოებები;

გ) მონაცემები სურსათის შესახებ;

დ) განსახორციელებელი ქმედებები;

ე) რეკომენდაცია.

2. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

2.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის პერიოდულ გამოქვეყნებას და განახლებას სააგენტოს ვებ გვერდის საშუალებით, განახლების თარიღის მითითებით.

2.2. კვარტალში ერთხელ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

V. დაკავშირებული დოკუმენტაცია

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება;
4. „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება;
5. „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება;

6. „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება;

7. „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება;

8. „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილება;

9. „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილება;

10. „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება;

11. „სასმელი წყლის სინჯის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების შეფასებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა“ .